ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2813607

ნომერი: AR1435895

თარიღი : 29.08.2016

გაცემის თარიღი : 02.09.2016

გაცნობის თარიღი : 05.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქალაქი თბილისი,სოფელი დიღომი, (ნაკვეთი 19/313) , ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი დავით აღმაშენებელის ქუჩა N2ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ელგუჯა ადამია პ/ნ 62014001679
- სოხუმი სვანიძის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 აგვისტოს №2791413 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 29 აგვისტოს №AR1435895 განცხადებით მომართა ელგუჯა ადამიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 23 აგვისტოს №2791413 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 23 აგვისტოს №2791413 ბრძანებით შეთანხმდა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №01.72.14.019.370 მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 23 აგვისტოს №2791413 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორადაა დაფიქსირებული საცხოვრებელი ფართობი, ტექნიკური შეცდომა დაშვებულია ასევე შეთანხმებულ მე-5 სართულის გეგმაზე. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობი დაფიქსირდეს 3903.4 კვ.მ და შეთანხმებული მე-5 სართულის გეგმა ჩანაცვლდეს №AR1435895 განაცხადის 2016 წლის 02 აგვისტოს №AR1138110MS შეტყობინების მეშვეობით წარმოდგენილი, ამავე სართულის შესწორებული გეგმით.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა, წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და მე-5 სართულის შესწორებული გეგმა შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 აგვისტოს №2791413 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3903.4, ხოლო შეთანხმებული მე-5 სართულის გეგმა ჩანაცვლდეს №AR1435895 განაცხადის 2016 წლის 02 აგვისტოს №AR1138110MS შეტყობინებით წარმოდგენილი, ამავე სართულის შესწორებული გეგმით. სამსახურის 2016 წლის 23 აგვისტოს №2791413 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 აგვისტოს №2791413 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.